



GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო


2024 წლის ანგარიში

www.geostm.gov.ge



შინაარსი


1. განხორციელებული ღონისძიებები2-3
2. სტანდარტიზაცია.....4-9
3. მეტეოლოგია..... 10-17



1. განხორციელებული ღონისძიებები

- დასრულდა ევროპული დახმარების ტვინინგ პროექტი „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს (GEOSTM) ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება საერთაშორისო/ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად“. პროექტს ახორციელებდა იტალია-ესპანეთის კონსორციუმი. 2024 წლის 20 ივნისს გაიმართა პროექტის დასრულების ღონისძიება, დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგების შესახებ.
- სტანდარტიზაციის სფეროში ევროპულ რეგულაციასთან (N1025) შემდგომი დაახლოების მიზნით განხორციელდა ცვლილებები საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ში, რომელიც მიმდინარე წლის 31.07.2024 (დოკუმენტის ნომერი: 4373-XVრს-Xმპ) გამოქვეყნდა საკანონმდებლო მაცნეში (<https://matsne.gov.ge>). ამავე დროს მეტროლოგიის სფეროშიც ევროპული დირექტივების სამომავლოდ დანერგვის მიზნით (დირექტივა არა ავტომატური აწონის საშუალებების შესახებ NAWI და გამზომი საშუალებების შესახებ MID) ზემოაღნიშნულ კოდექსში განხორციელდა შესაბამისი ცვლილებები, ხოლო 2024 წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტები:
 - დადგენილება N480 „გამზომის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
 - დადგენილება N481 „არაავტომატური აწონის საშუალებების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“
- სააგენტოში აქტიურად მიმდინარეობს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სტანდარტის ISO/IEC 17025 მოთხოვნებთან დაკავშირებული სამუშაოები.
- 2024 წლის ნოემბერ - დეკემბერში დასრულდა ხელსაწყოებისა და ეროვნული ეტალონების დაკალიბრებები ჩეხეთში, პოლონეთში, თურქეთსა და გერმანიაში, რის შემდეგაც განხორციელდა მათი მოწოდება სააგენტოში.
- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიები რეგულარულად უწევენ მომსახურებას დამკვეთებს აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან გამზომების სხვადასხვა სფეროებში, განსაკუთრებით CMC ჩანაწერებით დაფარულ აღიარებულ სფეროებში.

- სისტემატიურად მიმდინარეობს დაინტერესებული პირებისათვის ლაზერული მანძილმზომების, კიდურა საზომების, საზომი საცრების, ხმაურმზომების, ოსცილოგრაფების, გენერატორების, ლუქსმეტრების, სასწორების, საწონების, ტრანსფორმატორების, მეგაომეტრების, მანომეტრების და ა.შ. დაკალიბრების სამუშაოები სხვადასხვა დაინტერესებული პირებისათვის.
- სააგენტო აქტიურად იყო ჩართული 2024 წლის რთველის მოსამზადებელ სამუშაოებში.
- 2024 წელს „Twinning პროექტის“ ფარგლებში სააგენტოს შერჩეული საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე სერტიფიცირების ორგანოს მიერ ჩატარდა წინასწარი შეფასების აუდიტი (ე.წ. „Pre-audit“), რომლის ფარგლებში აღნიშნული ორგანოს წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ სტანდარტების დეპარტამენტის მიერ ენ ისო 9001:2015 სტანდარტის მოთხოვნის გათვალისწინებით შემუშავებული დოკუმენტებს, პროცედურებისა და არსებულ პრაქტიკას.
- მიმდინარე წლის 21, 28 და 29 მაისს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტში Twinning პროექტის ფარგლებში განხორციელდა საერთაშორისო ექსპერტების ვიზიტი. სტანდარტების დეპარტამენტმა წარმატებით გაიარა აუდიტი და დაასრულა სტანდარტების დეპარტამენტის სერტიფიცირების პროცედურა სტანდარტის სსტ ენ ისო 9001:2015 „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები“ შესაბამისად და მიმდინარე წლის 5 ივლისს გაიცა EN ISO 9001:2015 სტანდარტზე შესაბამისობის საერთაშორისო სერთიფიკატი.
- Twinning პროექტის ფარგლებში წნევის ლაბორატორიაში განხორციელდა წინასწარი აუდიტი, რომელიც მოიცავდა საკითხებს გაზომვების პრიორიტეტულ სფეროებში და ISO/IEC 17025:2017, ასევე შესაბამისი CIPM, ILAC და EA დოკუმენტების მოთხოვნებს. აღნიშნულ წინასწარი აუდიტი განხორციელდა იტალიის აკრედიტაციის ორგანოს ექსპერტის მიერ.
- დაინტერესებული მხარეებისათვის სააგენტომ გამართა საინფორმაციო შეხვედრები თემაზე 2014/31/EU დირექტივა „არაავტომატური აწონის საშუალებები“ (NAWI) და 2014/32/EU დირექტივა „გამზომი საშუალებების შესახებ“ (MID).
- 2024 წლის 26-28 აპრილს საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს უძრავი ქონების კვირეულის ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაში “სამშენებლო მასალების ხარისხის ინფრასტრუქტურა”. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ქონდათ მიეღოთ სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ სააგენტოს წარმომადგენლებისაგან.



2. სტანდარტიზაცია

- საერთაშორისო/ევროპული სტანდარტების ქართულენოვან ვერსიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დამტკიცდა 2024 წლის საქართველოს სტანდარტების პროგრამის პირველი ნაწილი.
- განახლდა 2024 წლის საქართველოს სტანდარტების პროგრამა, მომზადდა სტანდარტების პროგრამის მეორე ნაწილი.
- დასრულდა საქართველოს სტანდარტებად მიღებული საერთაშორისო სტანდარტების (ISO) და ევროპული სტანდარტების (EN) აქტუალიზაციის სამუშაოები, სულ გადამოწმდა 9,112 საერთაშორისო და 20, 233 ევროპული სტანდარტი, სტანდარტების რეესტრიდან ამოღებულ იქნა 2, 300-მდე სტანდარტი.
- სააგენტოს მიერ სტანდარტიზაციის ეროვნული ტექნიკური კომიტეტის (ტკ 9) „ტერმინოლოგია“ წევრების მიერ შერჩეული კანდიდატები წარდგენილ იქნა სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ისო) ტექნიკურ კომიტეტში „ISO/TC 46 - Information and documentation“ მონაწილეობისათვის, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს „ISO/CD 9984 Information and documentation — Transliteration of Georgian characters into Latin characters“ სტანდარტის პროექტის განხილვა.
- სააგენტოს წარდგინებით სტანდარტიზაციის შესაბამისი ეროვნული კომიტეტის წევრები ჩაერთვნენ (მეორე) სტანდარტიზაციის ევროპული კომიტეტში CEN/TC 275 “Food analysis - Horizontal methods“ საქმიანობაში.
- 2024 წლის დეკემბრის თვეში დასრულდა გარემოს დაცვის სფეროში ტექნიკური კომიტეტის შექმნისა და ტექნიკური კომიტეტის შემადგენლობის ფორმირების პროცესი.
- 25, 30 იანვარს და 6 ივნისს სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამშენებლო დეპარტამენტთან კოორდინაციით შედგა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტის (ტკ 5) სამუშაო ჯგუფის „ევროკოდები“ წევრების შეხვედრა ევროკომისიის ერთობლივი კვლევების ცენტრი (JRC) მიერ მოწვეულ ექპერტებთან, შეხვედრის ფარგლებში განხილული იყო სეისმური და კლიმატური რუკების შემუშავების პროცედურები. აღნიშნული პროცესის შემდგომი ხელშეწყობისათვის დაიგეგმა JRC-ის ექპერტების ჩართულობის კონფერენციის ან/და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება თბილისში.




- 2024 წლის 24-26 ივნისს, სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სტანდარტიზაციის ევროპული ორგანიზაციების (CEN, CENELEC) გენერალურ ასამბლეაში, რომელიც გაიმართა ქ. ამსტერდამში.
- 2024 წლის 4 და 13 ივნისს, 23-24 სექტემბერს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში: „სტანდარტიზაციის ფორუმში“; „პროფესიული განვითარების შესაძლებლობა“ და „მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებები - ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში“ რომელშიც საქართველოსთან ერთად მონაწილეობდნენ შესაბამისი სფეროს წარმომადგენლები აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებიდან.
- 2024 წლის 16-18 ივლისს, სააგენტოს სტანდარტების დეპარტამენტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო WTO-JVI მიერ ჩატარებულ სამუშაო შეხვედრაში “ADVANCED REGIONAL WORKSHOP ON TECHNICAL BARRIERS TO TRADE AGREEMENT FOR CENTRAL AND EASTERN EUROPE, CENTRAL ASIA AND CAUCASUS (CEEAC) COUNTRIES“ რომელიც გაიმართა ქ. ვენაში.
- 8-12 ივლისს, განხორციელდა სააგენტოს წარმომადგენლების სასწავლო ვიზიტი იტალიის სტანდარტების ეროვნულ ორგანოში (UNI); 23-24 სექტემბერს სტანდარტების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს PTB-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში: „მომხმარებელზე ორიენტირებული მომსახურებები - ხარისხის ინფრასტრუქტურის სფეროში“ (23 სექტემბერი, 2024); „სტანდარტიზაციის ფორუმი“(24 სექტემბერი), ღონისძიებაში საქართველოს გარდა მონაწილეობდა შესაბამისი სფეროს წარმომადგენლები აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებიდან.



სტანდარტიზაციის შესაბამისი ტექნიკური კომიტეტის (ტკ) წევრების გადაწყვეტილების
საფუძველზე მიღებულ იქნა და გამოქვეყნდა საქართველოს სტანდარტების ელექტრონულ
პლატფორმაზე (sst.geostm.gov.ge) შემდეგი საერთაშორისო სტანდარტების
ქართულენოვანი ვერსიები:

სსტ ისო	14644-3:2019/2024	სუფთა სათავსები და მასთან დაკავშირებული საკონტროლო გარემო. ნაწილი 3: გამოცდის მეთოდები
სსტ ისო	14644-8:2022/2024	სუფთა სათავსები და მასთან დაკავშირებული საკონტროლო გარემო. ნაწილი 8 : ჰაერის სისუფთავის შეფასება ქიმიური კონცენტრაციის მიხედვით
სსტ ისო	14644-9:2022/2024	სუფთა სათავსები და მასთან დაკავშირებული საკონტროლო გარემო. ნაწილი 9 : ზედაპირის სისუფთავის შეფასება ნაწილაკების კონცენტრაციის მიხედვით
სსტ ისო	14644-10:2022/2024	სუფთა სათავსები და მასთან დაკავშირებული საკონტროლო გარემო. ნაწილი 10: ნაწილაკების სისუფთავის შეფასება ქიმიურ გაბინძურებაზე
სსტ ისო	704:2022/2024	ტერმინოლოგიური მუშაობა – პრინციპები და მეთოდები
სსტ ისო	21621 : 2021/2024	ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები - ტრადიციული რესტორნები - ვიზუალური ასპექტები, გაფორმება და მომსახურებები
სსტ ისო	22483 : 2020/2024	ტურიზმი და მასთან დაკავშირებული მომსახურებები - სასტუმროები - მომსახურების მოთხოვნები
სსტ ისო	6888- 1:2021/ცვლილება1:20 23/2024	სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - კოაგულაზა- დადებითი სტაფილოკოკების (<i>Staphylococcus aureus</i> და სხვა სახეობების) რაოდენობრივი განსაზღვრის ჰორიზონტალური მეთოდი ნაწილი 1: მეთოდი ბარდ- პარკერის აგარის საკვები არის გამოყენებით ცვლილება 1




სსტ ისო	6888-2:2021/ცვლილება1:2023/2024	სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია — კოაგულაზა-დადებითი სტაფილოკოკების (<i>Staphylococcus aureus</i> და სხვა სახეობები) რაოდენობრივი აღრიცხვის ჰორიზონტალური მეთოდი — ნაწილი 2: მეთოდი ბოცერის პლაზმის ფიბრინოგენის შემცველი აგარის საკვები არის გამოყენებით ცვლილება 1
სსტ ისო	6887-5:2020/2024	სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - საკვლევი ნიმუშების, საწყისი სუსპენზიისა და ათჯერადი განზავებების მომზადება მიკრობიოლოგიური გამოცდისათვის - ნაწილი 5: სპეციალური წესები რძისა და რძის პროდუქტების მომზადებისათვის
სსტ ისო	15213-1:2023/2024	სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - <i>Clostridium</i> spp.-ის გამოვლენისა და რაოდენობრივი აღრიცხვის ჰორიზონტალური მეთოდი - ნაწილი 1: სულფიტის აღმდგენი <i>Clostridium</i> spp.-ის რაოდენობრივი აღრიცხვა კოლონიების დათვლის მეთოდით
სსტ ისო	15213-2:2023/2024	სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია - <i>Clostridium</i> spp.-ის გამოვლენისა და რაოდენობრივი აღრიცხვის ჰორიზონტალური მეთოდი - ნაწილი 2: <i>Clostridium perfringens</i> -ის რაოდენობრივი აღრიცხვა კოლონიების დათვლის მეთოდით
სსტ ისო	18743:2015/ცვლილება 1:2023/2024	სასურსათო ჯაჭვის მიკრობიოლოგია — <i>Trichinella</i> -ს ლარვების გამოვლენა ხორცში ხელოვნური მონელების მეთოდით ცვლილება 1: მეთოდის დამადასტურებელი კვლევები და სამუშაო მახასიათებლები
სსტ ისო	20765-1:2005/2024	ბუნებრივი გაზი-თერმოდინამიკური მახასიათებლების გამოანგარიშებანაწილი 1: გაზის ფაზის მახასიათებლები გადაცემისა და განაწილების რეჟიმებისთვის



2024 წლის 12 თვის განმავლობაში სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ
დარეგისტრირდა 8826 სტანდარტი, მათ შორის:

- ✓ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 233;
- ✓ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) - 8, 570;
- ✓ სსტ იეკ (ელექტროტექნიკური სტანდარტი) - 2;
- ✓ ქართულენოვანი (ისო) – 20;
- ✓ ქართულენოვანი (იეკ) – 1.

დიაგრამა 1.






2024 წლის 12 თვის განმავლობაში სტანდარტების დეპარტამენტის მიერ სულ
გაცემულია 553 სტანდარტი, მათ შორის:

- ✓ სსტ ისო (საერთაშორისო სტანდარტი) - 245;
- ✓ სსტ ენ (ევროპული სტანდარტი) – 176;
- ✓ სსტ იეკ (ელექტროტექნიკური სტანდარტი) – 2;
- ✓ სსტ ისო (ქართულენოვანი) – 87;
- ✓ სსტ ენ (ქართულენოვანი) - 9;
- ✓ სსტ (ქართულენოვანი) – 1;
- ✓ ასტმ (ტესტირებისა და მასალების ამერიკის საზოგადოება) - 20;
- ✓ გოსტ (სახელმწიფოთაშორისო სტანდარტი) - 13.

დიაგრამა 2.



3. მეტროლოგია

- სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური განყოფილებები აქტიურად მონაწილეობენ გაზომვის ეტალონების საერთაშორისო/რეგიონალურ და ორმხრივ შედარებებში:
 - ✓ „დენის ტრანსფორმატორების გაზომვების დამატებითი შედარებები“.
 - ✓ „ელექტრული სიმძლავრის ერთეულის ეროვნული ეტალონების საკვანძო შედარებები“
 - ✓ „მულტიმეტრის დაკალიბრების პილოტური შედარებები“.
 - ✓ „ელექტრული წინაღობის ეტალონური ზომების 100 ომი და 100 კომი საერთაშორისო შედარებები“.
- რადიაციული გაზომვების ეტალონური განყოფილების მიერ 2024 წ. 12 თვის მდგომარეობით დაკალიბრდა - 224 ხელსაწყო, მათ შორის დამკვეთისათვის აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. ამავე პერიოდში ჩატარდა ნიმუშის რადიაციული კვლევა – 21 ნიმუში.
- გერმანული მხარის PTB - მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის, ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური ლაბორატორიის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ თეორიული და პრაქტიკული სწავლება SPRT ის დაკალიბრების შესახებ (ვერცხლისწყლიდან-გალიუმის რეპერულ წერტილის ქვედიაპაზონში. ამავე პროექტის ფარგლებში წნევის ლაბორატორიაში განხორციელდა შიდა აუდიტი.
- PTB-ის პროექტის „ხარისხის სტანდარტები გაზრდილი ვაჭრობისათვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ ფარგლებში 2024 წლის 3-7 ივნისს და 24 ივნისს ჩატარდა ონლაინ შეხვედრები სიმძლავრისა და ენერგიის სახელმწიფო ეროვნული ეტალონის განვითარების, გაზომვების ავტომატიზაციის და საერთაშორისო შედარებების ჩატარების თაობაზე ელექტრული გაზომვების ეტალონური განყოფილების BIPM KCDB მონაცემთა ბაზაში CMC-ის ახალი ხაზების დამატების მიზნით - მონაწილეობა მიიღეს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.
- საერთაშორისო აღიარების შენარჩუნების მიზნით 2024 წლის 12-14 მარტს EURAMET - ის ექსპერტების მიერ ჩატარდა ე.წ გარე შეფასება (peer review) გაზომვების შემდეგ სფეროებში: სიგრძე, წნევა, დოზიმეტრია. შეფასება განხორციელდა წარმატებით. შესაბამისად სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა შეადგენს 65 CMC ჩანაწერს.




- მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო 22 აპრილს გამართულ CABUREK M4DT Global Programme-ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში.
- მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრებში: CABUREK M4DT Global Programme-ის სამუშაო შეხვედრა, კალიბრაციის ციფრული სერთიფიკატების (DCC) მიღება და შემდგომი განვითარება სამუშაო შეხვედრა.
- მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო 25.08 – 05.09 გამართულ IMEKO კონფერენციაზე და PTB-ში CABUREK პროექტის მეორე სამუშაო შეხვედრაში, ხოლო ამავე წარმომადგენელმა 19 სექტემბერს სააგენტოში ჩაატარა პრეზენტაცია ინფორმაციის გაზიარების მიზნით IMEKO - ს კონფერენციის შესახებ და ასევე CABUREK-პროექტის შესახებ, რომელის ძირითადი თემას წარმოადგენს სააგენტოში გაციფრულების სტრატეგიული გეგმის შექმნა.
- 2024 წლის 5-11 მაისს სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისთვის ტვინინგის პროექტის ფარგლებში შედგა სასწავლო ვიზიტი იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (INRIM) ელექტრული გაზომვების ლაბორატორიებში.
- 2024 წლის 3 -15 მაისს ფიზ - ქიმიური ეტალონული განყოფილების წარმომადგენლებისათვის ტვინინგის პროექტის ფარგლებში ჩატარდა სწავლება - ელექტროლიტთა ხსნარების ხვედრითი ელექტროლიტური გამტარებლობის სტანდარტული ნიმუშების წარმოების პროცედურების განხილვა ISO 17034 სტანდარტის შესაბამისად.
- 2024 წლის 20-23 მაისს ტვინინგის პროექტის ფარგლებში მექანიკის ეტალონურ განყოფილების ვიბრაციული გაზომვების ლაბორატორიაში განხორციელდა იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (INRIM) ექსპერტის ვიზიტი ლაბორატორიის საერთაშორისოდ აღიარების შესაძლებლობების შეფასები მიზნით, ასევე მან ჩაატარა ტრენინგ-სემინარი განყოფილების თანამშრომლებისთვის ვიბრაციის ლაბორატორიის მუშაობის ძირითად საკითხებზე.
- 2024 წლის 4-6 ივნისს გაიმართა EURAMET - ის გენერალური ასამბლეა, აღნიშნული ორგანიზაციის წევრთა სრული მხარდაჭერით სააგენტოს მიენიჭა სრულუფლებიანი წევრის სტატუსი. გენერალურ ასამბლეაზე სააგენტოს წარმომადგენელმა გააკეთა მოხსენება სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის საქმიანობის შესახებ.
- მიმდინარე წლის 15-19 აპრილს ჩატარდა გარე აუდიტი ISO 17034 სტანდარტის შესაბამისად, ხოლო 11-13 ივნისს ტვინინგ პროექტის ფარგლებში მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა ტრენინგები „შედარებების ორგანიზაცია და მართვა მეტროლოგიის ინსტიტუტებისა და ლაბორატორიებს შორის სტანდარტის ISO 17043 მოთხოვნების მიხედვით“, რომელიც შეფასდა დადებითად.




- 16.07-18.07.24. ჩატარდა გარე აუდიტი ფიზ - ქიმიის ეტალონურ განყოფილებაში ტვინინგის ექსპერტის მიერ ელექტროლიტთა ხსნარების ხვედრითი ელექტროლიტური გამტარებლობის სტანდარტული ნიმუშების წარმოების ISO 17034-ის მიხედვით, რომელიც დაამთავრდა წარმატებით.
- 2024 წლის 22-25 ივლისს ტვინინგის პროექტის ფარგლებში მექანიკის ეტალონურ განყოფილების ხარჯისა და ძალის ლაბორატორიაში განხორციელდა იტალიის მეტროლოგიის ინსტიტუტის (INRIM) ექსპერტების ვიზიტი ლაბორატორიის შესაძლებლობების შეფასები მიზნით.
- 23 ივლისს PTB ექსპერტის მიერ ჩატარდა ტრენინგი მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისათვის „განუსაზღვრელობა, განაცხადი შესაბამისობაზე“
- 2024 წლის 1 - 5 ივლისი GEOSTM-ში ელექტრული გაზომვების ეტალონურ განყოფილებაში PTB-ის ვიზიტი სიმძლავრისა და ენერგიის სახელმწიფო ეტალონის გაზომვების ავტომატიზაციის და ორმხრივი შედარებების ჩატარების თაობაზე: RS232- ის გამოყენებით ZERA SSM3000 პროგრამის კომუნიკაციის მიღწევა განყოფილების სიმძლავრისა და ენერგიის სახელმწიფო ეტალონთან ,ZERA SSM3000 პროგრამის შესაძლებლობების და მახასიათებლების გაცნობა და მოსინჯვა, განყოფილების ელექტრომრიცხველის ცდომილებების, % გაზომვა აქტიურ, რეაქტიულ და სრულ ენერგიაზე.
- 9 სექტემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებისათვის PTB – ის ექსპერტების მიერ ჩატარდა ტრენინგი თემაზე - გადაწყვეტილების მიღების წესები და შესაბამისობის განცხადებები”.
- 26 სექტემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლების PTB – ის ექსპერტების მიერ ჩატარდა ტრენინგი თემაზე „implementation of internal audits “.
- 23 – 27 სექტემბერს ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელი იმყოფებოდა საბერძნეთის მეტროლოგიის ინსტიტუტში სასწავლო პროგრამით თემაზე - SPRT-ის დაკალიბრება ფიქსირებულ წერტილებში წყლის სამმაგი წერტილიდან თუთიის ფიქსირებულ წერტილამდე დიაპაზონისთვის.
- სსიპ საქარველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში 2024 წლის 15 ნოემბერს PTB და BMZ მიერ დაფინანსებული პროექტის ხარისხის ინფრასტრუქტურის მომსახურების გაძლიერება დამატებული ღირებულების, პროდუქტიულობისა და ინოვაციისთვის“ ფარგლებში ჩატარდა სემინარი თემაზე „დაკალიბრების საერთაშორისო სახელმძღვანელო მითითებები“.
- 2024 წლის 20-23 ნოემბერს მასისა და მასასთან დაკავშირებული და ფიქ-ქიმიური ლაბორატორიის წარმომადგენლებამ მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში დიდი მოცულობის საზომების დაკალიბრება, რომელიც გაიმართა პორტუგალიის მეტროლოგიის ინსტიტუტში.



- სააგენტოს წარმომადგენლები აქტიურად ერთვებიან და მონაწილეობას ღებულობენ EURAMET და BIPM - ის ფარგლებში გამართულ სხვადასხვა საქმიანობაში:
 - ✓ ტემპერატურისა და ტენიანობის ეტალონური ლაბორატორიის წარმომადგენლები მონაწილეობენ key comparison (Subsequent comparison) CCT-K9.3X- შედარებაში (გაზომვებში მონაწილე ხელსაწყო SPRT). ასევე ისინი დაესწრნენ ესპანეთის მეტროლოგიის ცენტრში თერმომეტრის პირველად გაზომვების პროცესს და მიმოიხილეს შედარების დეტალები. აღნიშნული შედარების საბოლოო შედეგები 2024 წლის ნოემბრის თვეში გადაგზავნილ იქნა პილოტ ლაბორატორიასთან (CEM - ესპანეთის მეტროლოგიის ინსტიტუტი)
 - ✓ ელექტრობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET – ის მიერ ორგანიზებულ ონლაინ ტრენინგში გაზომვების განუსაზღვრელობა: საუკეთესო გამოცდილება ტრენინგში და ახალი საშუალებები - ციფრული, პროგრამული, მათემატიკური, სამომავლო განვითარებისთვის იდეები და სიახლეები.
 - ✓ მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET - ის ხარისხის კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში (ქ.დელფი, ნიდერლანდები).
 - ✓ ტენიანობისა და ტემპერატურის ეტალონური განყოფილების წარმომადგენლებმა 16-18 აპრილს მონაწილეობა მიიღეს EURAMET - ის ტექნიკური კომიტეტის (TC-T) სამუშაო შეხვედრაში, პოლონეთში, ქ. ვროცლავში.
 - ✓ მასისა და მასასთან დაკავშირებული სიდიდეების განყოფილების წარმომადგენლებმა 22.04 – 25.04 მონაწილეობა მიიღეს EURAMET - ის ტექნიკური კომიტეტის სხოდმაში (TC-Flow - ტექნიკური კომიტეტის ნაკადი), რომელიც გაიმართა ფინეთში.
 - ✓ რადიოფიზიკის, ოპტიკისა და აკუსტიკის განყოფილების წარმომადგენელმა ონლაინ-ჩართვის (Live) ფორმატით მონაწილეობა მიიღო EURAMET - ის ფარგლებში გამართულ აკუსტიკის ტექნიკური კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში.
 - ✓ ელექტრობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET TCEM SC Power and energy - „ელექტრობა და მაგნეტიზმის“ ტექნიკური კომიტეტის სიმბლავრე და ენერგიის ქვეკომიტეტის სხდომაში, რომელიც ჩატარდა 2024 წლის 13 - 15 მაისს ქ. დელფტში.
 - ✓ 28 მაისს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს ევრამეტის ფარგლებში გამართულ ონლაინ სემინარში - NORDTEST Approach for the Evaluation of the Measurement Uncertainty -Using of Mukit Software
 - ✓ ელექტრობის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ევრამეტის „ელექტრობა და მაგნეტიზმი“-ის ტექნიკური კომიტეტის EURAMET TCEM და ევროპული მეტროლოგიის ქსელის ჭკვიანი ელექტრული ქსელების EMN SEG (EURAMET EMN SEG - 6th Annual General Meeting - მე-6 წლიური შეხვედრა) შეხვედრაში (გაიმართა ონლაინ რეჟიმში).
 - ✓ 2024 წლის 6 ივნისს რადიაციული მეტროლოგიის ეტალონური განყოფილების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს EURAMET და EMN სემინარში სუფთა ენერგიისთვის - სემინარი „მეტროლოგია ენერგეტიკის რეგულირებისთვის“



- ✓ 2024 წლის 7 ივლისს რადიაციის ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეონა მიიღო ონლაინ ვებინარში - BIPM - CCRI Webinar 'Metrology in support of the Comprehensive Nuclear Test-Ban Treaty (CTBT).
- ✓ 2024 წლის 14 აგვისტოს რადიაციის ეტალონურ განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო NCSLI -ინსტრუმენტები და მიღწევები ზედაპირული გაზომვისას - Building a Quality Culture in Your Calibration Lab/Lab Manager Statistics- ონლაინ ვებინარში.
- ✓ 2024 წლის 28 აგვისტოს რადიაციის ეტალონურ განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო National Conference of Standards Laboratories" -ონლაინ ვებინარში.
- ✓ 2024 წლის 7-11 ოქტომბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ტექნიკური კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში TC –M EURAMET - მასა და მასთან დაკავშირებული სიდიდეები , წნევის სფერო .
- ✓ 2024 წლის 27 ოქტომბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს EURAMET ის ახალი შესაძლებლობების განვითარების კოორდინაციის პროექტში, რომელიც გაიმართა ონლაინს
- ✓ 2024 წლის 23-24 ოქტომბერს ელექტრული ეტალონური განყოფილების წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EURAMET ტექნიკური კომიტეტის სამუშაო შეხვედრაში რომელიც გაიმართა ქ.პარიზში.
- ✓ 28 ოქტომბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ სამინარში „First CABUREK Talk "CIPM Forum on Metrology and Digitalization"
- ✓ 2024 წლის 5 ნოემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღეს MID და NAWI დირექტივებთან დაკავშირებულ ონლაინ სემინარში.
- ✓ 5 ნოემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო EUROLAB-ის მიერ ორგანიზებულ ვებინარში თემაზე “Guidelines for the Management of Digitalised Systems in Laboratories Accredited to ISO/IEC 17025”
- ✓ 25 ნოემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ონლაინ სამინარში „Second CABUREK Talk "Steps Towards the Digital Workflow at PTB – Insights into our Experiences".
- ✓ 12 დეკემბერს მეტროლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ვებინარში „AS X7 ანალიტიკური და PS X7 ზუსტი ნაშთების შესახებ - webinar on the AS X7 analytical and PS X7 precision balances“ და CCRI ვებინარში ბირთვული მონაცემების შეფასება რადიონუკლიდების მეტროლოგიისთვის.



#	2024 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ რეგისტრირებული და დამტკიცებულია დაკანონებული გაზომვის საშუალების 17 ტიპი
1	FIT 333 მოდელის ალკომეტრი alkometris (ამოსასუნთქ ჰაერში ალკოჰოლის განმსაზღვრელი მოწყობილობა).
2	MCS301 აქტიური ელექტრული ენერგიის სტატიკური მრიცხველი, <i>შპს „MetCom Solutions GmbH“ (გერმანია), შპს „ენერჯი სერვისი“</i>
3	YBK-A საავტომობილო ტენზომეტრული სასწორები (ინდიკატორები: BIP2-XX (Елва), MB6, MB9, MB12 (SHANGHAI YAOHUA WEIGHING SYSTEM Co., LTD), D39, XK3118T1, XK3118T16, KU05, KU08 (NINGBO), X112-B (PRECIA A.A.); წონითი გადამწოდები: HM9B, HM14H1, BM14K, DBM14 (ZEMIC), ZSFY-A/-ASS, ZSFB-D, ZSF-D/-DSS, ZSW-D/-DSS, QS, QSB, QSE, QS-D (NINGBO), RTN, C16A, C16i (HBM), RC3, RC3D (FLINTEC), SC, HSC (ESIT), SB, SBA, SBS (Cas Corporation), 700, 740, 750, 740D (Utilcell), X970-C (PRECIA S.A.)) <i>ფირმა „ППП НВФ «Українська вагова компанія».“ (უკრაინა), შპს „ვეარ გრუპ ჯი“</i>
4	KAYI MJD-XX-AYS“ მრავალჭავლიანი წყლის მრიცხველის, შპს „EUROMET Ölçü Aletleri Laboratuvar ve Test Ekipmanlari Danismanlik Imalat Sanayi ve Ticaret Ltd. Şti“ (თურქეთი), შპს „იჯ ჩემისტრი“
5	„GÖKSU SJD-xx-AYS“ ერთჭავლიანი წყლის მრიცხველის, შპს „EUROMET Ölçü Aletleri Laboratuvar ve Test Ekipmanlari Danismanlik Imalat Sanayi ve Ticaret Ltd. Şti“ (თურქეთი), შპს „იჯ ჩემისტრი“
6	CT“ აირის მემბრანული მრიცხველის, <i>შპს „GAS SOUZAN“ (ირანის ისლამური რესპუბლიკა), შპს „ჯი ემ ჯი ჯენერალ თრეიდიგ“.</i>
7	НАРТИС-И100 ელექტრული ენერგიის ერთფაზა ინტელექტუალური მრიცხველის,შპს “Завод НАРТИС” (რუსეთის ფედერაცია), სს თელასი.
8	НАРТИС-И300 ელექტრული ენერგიის სამფაზა ინტელექტუალური მრიცხველის, შპს “Завод НАРТИС” (რუსეთის ფედერაცია), სს „თელასი“



9	flowIQ2200 (KWM2230; KWM2231) წყლის მრიცხველის, „Kamstrup A/S“ (დანია), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“.
10	flowIQ3200“ KWM3230 წყლის მრიცხველის, „Kamstrup A/S“ (დანია), შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“.
11	LDG-10 ÷ LDG-1000 წყლის მრიცხველის „Tianjin Sure Instrument Co Ltd“ (ჩინეთის რესპუბლიკა), სს „ერისიმედი“
12	SJ; SJ Plus; SJ Evo; Electo SJ წყლის ერთჯავლიანი მრიცხველების „MADDALENA S.p.A.“ (იტალია), შპს „ქველკო“.
13	AK-XS წყლის მრიცხველების, „Baylan Ölçü Aletleri Sanayi ve Ticaret A.Ş“ (თურქეთი), შპს „გაზ ვოთერ ტექნოლოჯი“
14	Streamlux (SLS-720P; SLS-720F; SLS-720A; SLS-720MG; SLS-720E) წყლის ულტრაბგერითი მრიცხველების, „ООО Энергетика“ (რუსეთის ფედერაცია), შპს „გოგირდის წყლები“
15	SL7000 Smart... ელექტრული ენერგიის სამფაზა ელექტრონული მრავალფუნქციური მრიცხველების, „Itron Indonesia -PT Mecoindo“ (ინდონეზია), შპს „ნიკ ჯორჯია“
16	WMP წყლის ულტრაბგერითი მრიცხველების, „ADD production“ (მოლდოვის რესპუბლიკა), შპს „ვოლპი“.
17	SNZ-15-UW; SNZ-20-UW; SNZ-25-UW; SNZ-32-UW; SNZ-40-UW; SNZ-50-UW; SNZ-65-UW; SNZ-80- UW; SNZ-100-UW; SNZ-125-UW; SNZ-150-UW; SNZ-200-UW; SNZ-250-UW წყლის მრიცხველების, შპს „EUROMET Ölçü Aletleri Laboratuvar ve Test Ekipmanlari Danismanlik Imalat Sanayi ve Ticaret Ltd. Şti“ (თურქეთი), შპს „იჯ ჩემისტრი“






✓ სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა გაზომვის საშუალებების პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოები. 2024 წ. 12 თვის მდგომარეობით ჩატარებულია გაზომვის საშუალებების პირველადი დამოწმების აღიარების სამუშაოები სულ 179 108 ერთეული, მათ შორის:

- ელექტრო მრიცხველი - 45 188 ც.
- აირის მრიცხველი - 116 086ც.
- წყლის მრიცხველი - 17 834 ც.

დიაგრამა 3.





GeoSTM

საქართველოს სტანდარტები
და მეტროლოგია



ჩარგლის ქ. 67, თბილისი 0178



(+995 32) 261 35 00



geostm@geostm.ge

www.geostm.ge

www.sst.geostm.gov.ge